ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4211568

ნომერი: AR1635515

თარიღი : 05.10.2018

გაცემის თარიღი : 10.10.2018

გაცნობის თარიღი : 10.10.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძეს ქუჩა, N 81ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ხვედელიძე პ/ნ 01026010315
- თბილისი ზ.ფანასკერტელის ქ. კორ. 19 ბ. 29

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 04/04/2018წ N8-19/01180041683-17 ბრძანების შესაბამისად, შენობაში გაუქმებულია ავტოსაშხეფი სისტემა, არ არის მოწყობილი ,,დ-ე“ მონაკვეთში საევაკუაციო კარი, არ არის მოწყობილიპანდუსების და პანდუსების სახელურების, გარე და შიდა კიბეების მოაჯირების მოწყობა შეთანხმებული პროექტის შესაბამისად, შშმ პირთათვის განკუთვნილი პანდუსების დახრის პროცენტული მაჩვენებელი გაზრდილია, აღნიშნულიდან გამომდინარე განხორციელებული მშენებლობა ტექნიკური რეგლამენტის „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებასთან შეუსაბამობაშია და სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა. გაცნობებთ, რომ საჭიროა ახალი განაცხადით მოთხოვნა დააყენოთ შეთანხმებული პროექტის ცვლილებაზე და წარმოადგინოთ შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.